მოქალაქეთა პოლიტიკური

გაერთიანების რეგისტრაციის

მ ო წ მ ო ბ ა

პარტიის სახელწოდება:	მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „შეცვალე საქართველო“
შემოკლებული სახელწოდება:	
საიდენტიფიკაციო ნომერი:	415030317
რეგისტრაციის ნომერი, თარიღი:	255; 02/07/2020
მარეგისტრირებელი ორგანო:	სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
რეგისტრაციის (ცვლილების რეგისტრაციის) აქტი/თარიღი/ნომერი:	საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გადაწყვეტილება, NP20000015/0-1, 02/07/2020წ.
იურიდიული მისამართი:	საქართველო, ქ. თბილისი, რუსთაველის გამზირი N14
ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობა	თავმჯდომარე - გიორგი გაგნიძე ,სრული უფლებამოსილება

დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.napr.gov.ge. სარეგისტრაციო მონაცემების მიღება შესაძლებელია ვებ-გვერდზე www. napr.gov.ge, ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან. სარეგისტრაციო მონმობამი ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405. კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405. საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 08 009 009 09. თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge.

საჯარო
რეესტრის
ეროვნული სააგენტო

მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება
„შეცვალე საქართველო“

წესდება

თბილისი,
2020

1. **მუხლი. ზოგადი დებულებები**

1.1. მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „შეცვალე საქართველო“ (შემდგომში - გაერთიანება) არის მოქალაქეთა ნებაყოფლობითი პოლიტიკური გაერთიანება, რომელიც შექმნილია საქართველოს კონსტიტუციის, "მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის საფუძველზე და თავის საქმიანობას ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობისა და ამ წესდების შესაბამისად;

1.2. გაერთიანება წარმოადგენს არასამეწარმეო იურიდიულ პირს, აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, უფლებამოსილია შეიძინოს ქონებრივი და პირადი არაქონებრივი უფლებები, გახსნას და მართოს საბანკო ანგარიში ნებისმიერ კომერციულ ბანკში, იყოს მოსარჩელე და მოპასუხე სასამართლოში;

1.3. გაერთიანების საქმიანობა ვრცელდება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე;

1.4. გაერთიანების წესდებაში ცვლილებების რეგისტრაცია ხდება, წინამდებარე წესდებითა და კანონით დადგენილი წესით და დადგენილ ვადებში;

1.5. გაერთიანების შექმნასა და საქმიანობას საფუძვლად უდევს შემდეგი პრინციპები:

1.5.1. გაერთიანებაში გაწევრიანებისა და გაერთიანებიდან გასვლის ნებაყოფლობითობა;

1.5.2. დამოუკიდედებლობა და თვითმმართველობა;

1.5.3. არჩევითობა და ანგარიშვალდებულება;

1.5.4. კანონის წინაშე თანასწორობა;

1.5.5. გაერთიანების შექმნისა და საქმიანობის საჯაროობა.

1.6. გაერთიანების იურიდიული მისამართია: **ქ. თბილისი, რუსთაველის გამზ. 14**

1.7. გაერთიანების ტელეფონის ნომერია: **595275000**

2. **გაერთიანების მიზნები, ამოცანები და მათი განხორციელების ფორმები**

2.1. გაერთიანების მიზნები და ამოცანებია:

2.1.1. წარმოადგინოს და დაიცვას ქვეყნისა და საზოგადოების ინტერესები;

2.1.2. სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის განმტკიცება, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა და უზრუნველყოფა, სახელმწიფოს უსაფრთხოების სისტემის გაძლიერება;

2.1.3. დემოკრატიული საზოგადოების ფორმირების ხელშეწყობა, კანონის უზენაესობაზე, ევროპულ ღირებულებაზე დაფუძნებული სამართლებრივი სახელმწიფოს შენება, ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებათა და თავისუფლებათა დაცვისათვის სამართლებლივი და ინსტიტუციონალური გარანტიების ჩამოყალიბება, ძლიერი სამოქალაქო საზოგადოების განვითარების საყოველთაო ხელშეწყობა;

2.1.4. თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის განვითარება, ქვეყნის ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფა, მოქალაქეების კეთილდღეობის ხელშეწყობა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა;

2.1.5. საქართველოში დემოკრატიული სახელმწიფოებრივი ინსტიტუტების განმტკიცება და მონაწილეობა მათ მუშაობაში;

[illegible]

2.1.6. საქართველოს ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის მხარდაჭერა, პარტნიორ სახელმწიფოებთან თანამშრომლური ურთიერთობების გაღრმავება;

2.1.7. აქტიური მონაწილეობა საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში, საზოგადოების პოლიტიკური ნების გამოხატვისა და განხორციელების მიზნით;

2.1.8. ქვეყანაში თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების უზრუნველყოფა;

2.1.9. კორუფციისა და ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა;

2.1.10. ხელისუფლების საქმიანობაზე მუდმივი საზოგადოებრივი კონტროლის უზრუნველყოფა;

2.1.11. დემოკრატიული რეფორმების მხარდაჭერა.

2.2. აღნიშნული მიზნების მისაღწევად გაერთიანება იყენებს ყველა კანონიერ გზებსა და საშუალებებს, აქტიურ მონაწილეობას იღებს ქვეყნის საკანონმდებლო და ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოთა არჩევნებში, თანამშრომლობს პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან და სხვა.

3. წევრობა

3.1. გაერთიანების წევრი შეიძლება გახდეს საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს ნებისმიერი მოქალაქე, რომელიც ცნობს და აღიარებს გაერთიანების წესდებასა და პროგრამას, თავისი საქმიანობით ხელს უწყობს მისი მიზნების განხორციელებას, არ არის სხვა პოლიტიკური გაერთიანების წევრი;

3.2. გაერთიანების წევრობის მსურველი წერილობითი განცხადებით მიმართავს პოლიტიკურ კომიტეტს, რომელიც გადაწყვეტილებას იღებს განაცხადის შემოსვლიდან არა უგვიანეს 2 თვისა. გაერთიანების წევრობის მსურველმა გადაწყვეტილების მიღებამდე პოლიტიკურ კომიტეტში უნდა წარმოადგინოს გაერთიანების სულ მცირე ერთი წევრის წერილობითი რეკომენდაცია.

3.3. გაერთიანებაში დაწესებულია შემდეგი სახის დისციპლინური ზომები:

3.3.1. გაფრთხილება;

3.3.2. გარიცხვა.

3.4. გაერთიანება თავის თავზე იღებს პოლიტიკურ პასუხისმგებლობას თავისი წევრის მხოლოდ იმ ქმედებაზე, რომელიც პირდაპირ უკავშირდება გაერთიანების წევრის საქმიანობას.

3.5. გაერთიანებიდან გასვლა თავისუფალია. გაერთიანების წევრი გაერთიანებიდან გასულად ითვლება მის მიერ თავმჯდომარის სახელზე განცხადების წარდგენის დღიდან.

3.6. წესდებით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევისთვის გაერთიანების წევრს შეიძლება დაეკისროს პასუხისმგებლობა. პასუხისმგებლობისა და მისი ზომის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს გაერთიანების პოლიტიკური კომიტეტი.

3.7. გაერთიანების წევრს უფლება აქვს:

3.7.1. მონაწილეობა მიიღოს გაერთიანების საქმიანობაში;

3.7.2. აირჩიოს და არჩეული იყოს გაერთიანების ორგანოებში;

Giorgi Vadachkoria

3.7.3. მონაწილეობა მიიღოს გაერთიანების წესდებით დადგენილი მიზნების განხორციელებაში;

3.7.4. მონაწილეობდეს გაერთიანების საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხების განხილვაში;

3.7.5. მიმართოს გაერთიანების ხელმძღვანელ პირებს, მიიღოს ინფორმაცია გაერთიანებისა და მისი ორგანოების საქმიანობის შესახებ;

3.7.6. დადგენილი წესით ისარგებლოს გაერთიანების კუთვნილი ქონებით.

3.8. გაერთიანების წევრი ვალდებულია:

3.8.1. დაიცვას გაერთიანების წესდებით დადგენილი მოთხოვნები;

3.8.2. შეასრულოს გაერთიანების ხელმძღვანელი ორგანოების გადაწყვეტილებები;

3.8.3. აქტიური მონაწილეობა მიიღოს გაერთიანების საქმიანობაში;

3.8.4. გაუფრთხილდეს გაერთიანების სახელსა და ავტორიტეტს, ფართო პროპაგანდა გაუწიოს მის საქმიანობას;

3.8.5. გაუფრთხილდეს გაერთიანების მატერიალურ ტექნიკურ ბაზას და იზრუნოს მისი განმტკიცებისათვის.

4. ორგანიზაციული სტრუქტურა

4.1. გაერთიანების უმაღლესი ხელმძღვანელი ორგანოა ყრილობა, აღმასრულებელი ორგანო-პოლიტიკური კომიტეტი, ხოლო მაკონტროლებელი ორგანოა სარევიზიო კომისია.

4.2. გაერთიანების სხვა სტრუქტურულ ქვედანაყოფებს ქმნის და აუქმებს პოლიტიკური კომიტეტი.

4.3. გაერთიანებაში შეიძლება შეიქმნას რეგიონული, რაიონული, საქალაქო, სადაბო, სასოფლო ორგანიზაცია და სხვა სტრუქტურული ქვედანაყოფი.

4.4. გაერთიანების ტერიტორიული ქვედანაყოფი ვალდებულია თავისი საქმიანობა წარმართოს გაერთიანების პოლიტიკური კურსის შესაბამისად.

5. ყრილობა

5.1. გაერთიანების უმაღლესი ხელმძღვანელი ორგანოა ყრილობა, რომელსაც იწვევს გაერთიანების პოლიტიკური კომიტეტი 4 წელიწადში ერთხელ მაინც.

5.2. რიგგარეშე ყრილობას იწვევს პოლიტიკური კომიტეტი.

5.3. პოლიტიკური კომიტეტს რიგგარეშე ყრილობის მოწვევის მოთხოვნით შეიძლება მიმართოს გაერთიანების თავჯდომარემ, პოლიტიკური კომიტეტის შემადგენლობის 2/3-მა ან გაერთიანების წევრთა საერთო რაოდენობის სულ მცირე მესამედმა.

5.4. რიგგარეშე ყრილობა ტარდება მოთხოვნიდან 2 თვის ვადაში, გარდა ამ წესდების 5.7. პუნქტით გათვალისწინებული შემთვევებისა, წინასწარ განსაზღვრული დღის წესრიგით და იხურება მისი ამოწურვისთანავე.

5.5. ყრილობაზე დელეგატების არჩევის წესს ადგენს პოლიტიკური კომიტეტი იმგვარად, რომ არჩეულ იქნას არანაკლებ 300 დელეგატისა.

5.6. ყრილობა უფლებამოსილია თუ მას ესწრება დელეგატთა ნახევარზე მეტი, გარდა წესდებით გათვალისწინებული სხვა შემთხვევებისა.

5.7. წესდებით გათვალისწინებული სხვა შემთხვევების გარდა, ყრილობა გადაწყვეტილებას იღებს დამსწრე დელეგატთა უმრავლესობით, მაგრამ არანაკლებ სიით შემადგენლობის ერთი მესამედისა.

5.8. ყრილობა:

5.8.1. ისმენს მის მიერ არჩეული გაერთიანების ხელმძღვანელი ორგანოებისა და თანამდებობის პირების ანგარიშს და აძლევს მათ შეფასებას;

5.8.2. განსაზღვრავს გაერთიანების პოლიტიკური პლატფორმის ძირითად მიმართულებებს;

5.8.3. ხმათა უმრავლესობით ირჩევს გაერთიანების პოლიტიკურ კომიტეტის, სარევიზიო კომისიის წევრებს და თავჯდომარეს 21 (ოცდაერთი) წლის ვადით, ხოლო უფლებამოსილების გადამეტების, მოვალეობის შეუსრულებლობის ან საწესდებო მიზნებთან შეუსაბამო ქცევისათვის გადაირჩევს მათ დაკავებული თანამდებობიდან;

5.9. ყრილობის განსაკუთრებული პრეროგატივაა გაერთიანების წესდების მიღება, წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა. ცვლილებები და დამატებები მასში, მიღებულად ითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს ყრილობის დამსწრე დელეგატთა 2/3 მაინც, მაგრამ არანაკლებ სიით შემადგენლობის ერთი მესამედისა.

6. პოლიტიკური კომიტეტი

6.1. ყრილობებს შორის პერიოდში გაერთიანების საქმიანობას წარმართავს პოლიტიკური კომიტეტი, გაერთიანების თავჯდომარესთან ერთად, რომელსაც ღია კენჭისყრით 21 (ოცდაერთი) წლის ვადით 3 (სამი) წევრის შემადგენლობით ირჩევს გაერთიანების ყრილობა. გაერთიანების პოლიტიკური კომიტეტის შემადგენლობაში ავტომატურად შედის გაერთიანების თავჯდომარე.

6.2. პოლიტიკური კომიტეტი:

6.2.1. შეიმუშავებს გაერთიანების სამოქმედო გეგმას, წინასაარჩევნო და სტრატეგიული მნიშვნელობის სხვა დოკუმენტს, უზრუნველყოფს ყრილობის გადაწყვეტილებების აღსრულებას;

6.2.2. იღებს გადაწყვეტილებას გაერთიანების სტრუქტურული ქვედანაყოფების შექმნისა და გაუქმების შესახებ და ამტკიცებს მათ დებულებებს;

6.2.3. გაერთიანების თავჯდომარის წარდგინებით ამტკიცებს სახელმწიფოს უმაღლეს წარმომადგენლობითი ორგანოების არჩევნებში წარსადგენ კანდიდატთა სიას, ასევე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში გაერთიანების მიერ წარსადგენ კანდიდატურებს;

6.2.4. უფლებამოსილია მოიწვიოს გაერთიანების კონფერენციები და ფორუმები;

6.2.5. იღებს გადაწყვეტილებას საწევროების გადახდის წესისა და ოდენობის შესახებ;

6.2.6. ამტკიცებს ბალანსსა და ხარჯთაღრიცხვას;

6.3. პოლიტიკური კომიტეტი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება, თუ სხდომას ესწრება სრული შემადგენლობის უმრავლესობა. გადაწყვეტილება მიიღება სრული შემადგენლობის უმრავლესობით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება თავჯდომარის ხმას.

6.4. პოლიტიკური კომიტეტის სხდომა მოიწვევა თვეში ერთხელ მაინც. რიგგარეშე სხდომას იწვევს გაერთიანების თავჯდომარე საკუთარი ინიციატივით ან პოლიტიკური კომიტეტის წევრთა არანაკლებ 2/3-ის მოთხოვნით, სხდომა ტარდება მოთხოვნიდან 48 საათის განმავლობაში.

6.5. პოლიტიკური კომიტეტის გადაწყვეტილება სავალდებულოა გაერთიანების წევრებისა და სტრუქტურული ქვედანაყოფებისათვის.

6.6. პოლიტიკური კომიტეტის წევრის გაერთიანების წევრობიდან გარიცხვა ავტომატურად იწვევს პოლიტიკური კომიტეტის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტას.

7. **თავმჯდომარე**

7.1. გაერთიანების თავჯდომარე, გაერთიანების უმაღლესი თანამდებობის პირია, რომელსაც ღია კენჭისყრით 21 (ოცდაერთი) წლით ირჩევს გაერთიანების ყრილობა.

7.2. გაერთიანების თავჯდომარე:

7.2.1. იწვევს და ხელმძღვანელობს პოლიტიკური კომიტეტის სხდომას;

7.2.2. არის გაერთიანების წარმომადგენელი მესამე პირებთან და სახელმწიფო ორგანოებთან ურთიერთობაში. საჭიროების შემთხვევაში ნიშნავს სპეციალურ წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირს და განსაზღვრავს მისი უფლებამოსილების კონკრეტულ ფარგლებს; წარმოადგენს გაერთიანებას არა მხოლოდ ქვეყნის შიგნით, არამედ საგარეო ურთიერთობებში;

7.2.3. პოლიტიკურ კომიტეტს და სხვა თანამდებობის პირებს დასამტკიცებლად წარუდგენს გაერთიანების ყრილობას;

7.2.4. აკეთებს პოლიტიკურ განცხადებებს გაერთიანების სახელით;

7.2.5. ხელს აწერს პოლიტიკური კომიტეტის გადაწყვეტილებებსა და განცხადებებს;

7.2.6. გამოსცემს განკარულებებს;

7.2.7. ხელს აწერს გაერთიანების საარჩევნო დოკუმენტაციას;

7.2.8. ასრულებს წესდებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს;

7.2.9. თავჯდომარე ნიშნავს თავჯდომარის მოადგილე(ებ)ს, ასევე სხვა თანამდებობის პირებს.

7.2.10. მართავს გაერთიანების ფინანსურ სახსრებს და სხვა მატერიალურ ქონებას. პასუხისმგებელია მის სწორ გამოყენებაზე;

7.3. გაერთიანების თავჯდომარეს უფლება აქვს გადადგეს თანამდებობიდან;

7.4. გაერთიანების თავჯდომარის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში პოლიტიკური კომიტეტი 5 (ხუთი) დღის ვადაში იწვევს რიგგარეშე ყრილობას თავჯდომარის ასარჩევად, რომელიც უნდა გაიმართოს მოწვევიდან არა უადრეს 40 (ორმოცი) კალენდარული დღისა და არაუგვიანეს 2 (ორი) თვისა.

8. **სარევიზიო კომისია**

8.1. სარევიზიო კომისიას ღია კენჭისყრით 3 (სამი) წევრის შემადგენლობით ირჩევს ყრილობა.

8.2. სარევიზიო კომისიას ხელმძღვანელობს მისი თავჯდომარე, რომელსაც თავისი შემადგენლობიდან ირჩევენ კომისიის წევრები.

8.3. სარევიზიო კომისია აკონტროლებს გაერთიანების წევრებისა და ორგანოების მიერ წესდების დაცვას, გაერთიანების საფინანსო-საბუღალტრო საქმიანობას და თავის დასკვნებს წარუდგენს გაერთიანების ყრილობას და პოლიტიკურ კომიტეტს.

8.4. სარევიზიო კომისია შემოწმების შედეგების საფუძველზე შეიმუშავებს და გაერთიანების შესაბამის ორგანოს წარუდგენს დადგენილებებს გაერთიანების ორგანიზაციული საქმიანობის გაუმჯობესების შესახებ.

8.5. სარევიზიო კომისიის გადაწყვეტილებისათვის აუცილებელია სულ ცოტა კომისიის ორი წევრის თანხმობა.

8.6. სარევიზიო კომისია საკუთარ რეკომენდაციებს აცნობს როგორც პოლიტიკურ კომიტეტს, ასევე იმ ორგანოს ან წევრს, რომელსაც ეხება კომისიის დასკვნა.

8.7. სარევიზიო კომისიის წევრი არ შეიძლება იყოს გაერთიანების სხვა ორგანოს წევრი.

8.8. სარევიზიო კომისიის თავჯდომარეს უფლება აქვს დაესწროს გაერთიანების ნებისმიერი ორგანოს სხდომას, მოთხოვნის შემთხვევაში აღნიშნული ორგანოები ვალდებულნი არიან მოუსმინონ მას.

9. მუხლი. გაერთიანების ფინანსები და ქონება

9.1. გაერთიანების ქონების შექმნის წყაროებია: საწევრო შენატანები, შეწირულობები, სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი სახსრები და კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლები.

9.2. გაერთიანების საკუთრებაში აქვს გაერთიანების წესდებით განსაზღვრული ამოცანების განსახორციელებლად საჭირო უძრავი და მოძრავი ქონება. გაერთიანების ქონების განკარგვა დასაშვებია მხოლოდ წესდებით განსაზღვრული ამოცანების განსახორციელებლად.

10. მუხლი. გაერთიანების წესდების გადასინჯვა

10.1. მხოლოდ გაერთიანების ყრილობაა უფლებამოსილი მიიღოს გაერთიანების წესდება და შეიტანოს მასში ცვლილებები.

11. მუხლი. გაერთიანების სიმბოლოები

11.1. გაერთიანებას აქვს ლოგო, რომელზეც გამოსახულია სხვადასხვა ფერის (წითელის, ლურჯის, მწვანეს, ნარინჯისფერის და იისფერის სხვადასხვა ტონალობებში) მცირე ზომის ოთხკუთხედები, რომელთა ერთობლიობაც ქმნის წრეს. წრის შუა ნაწილში განთავსებულია ლათინური M და W ასოების მსგავსი ფიგურები, რომელიც ერთმანეთზე ზედდებით ქმნის ზიგზაგისებურ ფიგურას. წრის ქვემოთ ლოგოზე დატანილია გაერთიანების სახელწოდება „შეცვალე საქართველო“.

11.2. გაერთიანებას შესაძლებელი ჰქონდეს სხვა სიმბოლიკაც მათ შორის და არა მხოლოდ დროშა, ბეჭედი, შტამპი, ბლანკი, რომლის ვიზუალურ მხარეს და გამოყენების წესს ადგენს გაერთიანების პოლიტიკური კომიტეტი.

12. მუხლი. გაერთიანების რეორგანიზაცია და თვითლიკვიდაცია

12.1. გადაწყვეტილებას გაერთიანების რეორგანიზაციის ან თვითლიკვიდაციის თაობაზე დამსწრე დელეგატთა შემადგენლობის ორი მესამედის უმრავლესობით იღებს გაერთიანების პოლიტიკური კომიტეტი.

12.2. გაერთიანების რეორგანიზაციისა და თვითლიკვიდაციის შემდეგ დარჩენილი ქონება ნაწილდება საქართველოს კანონმდებლობის და გაერთიანების ყრილობის გადაწყვეტილების შესაბამისად.

13. მუხლი. გარდამავალი დებულებები

13.1. ეს წესდება ძალაში შედის ყრილობის მიერ მიღებისთანავე.